ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 370

"8" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.15.02.011.011.01.506; №01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის საკითხის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 დეკემბრის №20.1415.1748 განკარგულების, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: №01.15.02.011.011.01.506; №01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 დეკემბრის №20.1415.1748 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხი, ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ აღნიშნული უძრავი ქონების შესყიდვის თაობაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

პროექტი
დანართი
პროექტი

უძრავი ქონების
ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

---------- წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ნასყიდობის საგანი

1.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე ფორმდება ეს ხელშეკრულება ერთის მხრივ - **რუსუდან თორღვაშვილს** (პ/ნ: 01017037966; მცხ. ქ. თბილისი, მ. ზანდუკელის ქ. N1), მეორეს მხრივ: **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანებას** (შემდგომში - „ქონების შემძენი"; ს/ნ: 402036998; მის. ქ. თბილისი, [●], წარმოდგენილი [●] მიერ - პ/ნ: [●]) შორის.

1.2. ამ ხელშეკრულებით, რუსუდან თორღვაშვილისგან ქონების შემძენმა შეისყიდა შემდეგი უძრავი ნივთები („ნასყიდობის საგანი"):

1.2.1. **ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე 54.54 კვ.მ. ფართი N4 (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506)**
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] – მომზადების თარიღი [●]

1.2.2. **ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე 13.50 კვ.მ. სარდაფი N4ა (ს/კ: 01.15.02.011.011.01.004ა)**
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] – მომზადების თარიღი [●]

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური, გადახდის წესი და პირობები

2.1. ნასყიდობის საგნების ნასყიდობის საერთო საფასურად (ნასყიდობის საფასურად) განისაზღვრა 70000 (სამოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, თანხის გადარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.2. ნასყიდობის საფასური ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების მიერ გადახდილ უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, რუსუდან თორღვაშვილის მიერ წერილობით მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1. ქონების შემძენს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. ნასყიდობის საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად საჯარო რეესტრში ვალდებულებად დარეგისტრირდება ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება და შესაბამის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონების შემძენი ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის საფასური".

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. რუსუდან თორღვაშვილი აცხადებს, რომ ნასყიდობის საგანი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს მის საკუთრებას. ნასყიდობის საგანი არის უფლებრივად უნაკლო. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან.

4.2. რუსუდან თორღვაშვილი აცხადებს, რომ ნასყიდობის საგანს თავისი მფლობელობიდან გამოათავისუფლებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

4.3. რუსუდან თორღვაშვილი აცხადებს, რომ ქონების შემძენის და თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიმართ არ გააჩნია და არც სამომავლოდ ექნება რაიმე სახის პრეტენზია ნასყიდობის საგანთან დაკავშირებით, არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით.

4.4. რუსუდან თორღვაშვილი ვალდებულია, დაფაროს ნასყიდობის საგნის ქონების შემძენის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირების დღისთვის შესაძლოდ არსებული ყველა კომუნალური გადასახადი და შესაძლოდ გამოვლენილი კომუნალური დავალიანება, ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილ ვადაში და ქონების შემძენის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.5. ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე, რუსუდან თორღვაშვილთან შეთანხმების გარეშე, ქონების შემძენს არა აქვს უფლება: განკარგონ, გასცენ სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთონ ნასყიდობის საგანი.

4.6. ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დასტურდება რუსუდან თორღვაშვილის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

4.7. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ვალდებულება უქმდება ქონების შემძენის მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ამ ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ქონების შემძენის წერილობით მოთხოვნასთან ერთად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარედგინოს თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.8. რუსუდან თორღვაშვილი ადასტურებს, რომ 4.7 პუნქტით გათვალისწინებული, ვალდებულების გაუქმების შესახებ ქონების შემძენის წერილობითი მოთხოვნა, რუსუდან თორღვაშვილის თანხმობის გარეშეა სრული საფუძველი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის - განახორციელოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების გაუქმების რეგისტრაცია ნასყიდობის საგანზე.

4.9. ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის შესაძლოდ დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს რუსუდან თორღვაშვილის მიერ დამატებით ეძლევა ვადა, ამ ვალდებულების შესასრულებლად.

4.10. 4.9 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დარღვევის (ვადის გასვლის) შემთხვევაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი რუსუდან თორღვაშვილის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ნასყიდობის საგანი ბრუნდება რუსუდან თორღვაშვილის საკუთრებად და საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მისი საკუთრების უფლება, თუ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ვადაში ქონების შემძენი ამ უწყებას არ წარუდგენს ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

მუხლი 5. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

6.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით.

6.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

რუსუდან თორღვაშვილი

ქონების შემძენი: ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანება

_____